

371(077)

3-17

371(077)

3-17

- 1689 -

ვაჟაჟია ვ. დ.  
შემსმენლისა და მასთან  
დაკავშირებული  
პრაქტიკული საკითხების  
სწავლება სკოლაში

- 1689 -

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე დავითის ასული კაკაჩია

შემსმენლისა და მასთან დაკავშირებული  
პრაქტიკული საკითხების სწავლება სკოლაში

13.00.02 - სწავლების მეთოდика

აკტორეფერატი  
დისერტაციისა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი  
1999

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სულხან-საბა  
ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ  
უნივერსიტეტში

მეცნიერ-ხელმძღვანელი: მ. ჩინჩალაძე, პედაგოგიურ მეცნი-  
ერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

ექსპერტი: რ. გაბეჩავა, პედაგოგიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. მ. მიქაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

2. თ. ღვინაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი

წამყვანი ორგანიზაცია: თბილისის ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 25 მარტს, 13  
სთ. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო  
პედაგოგიური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს PD. 13.00.  
CNI სხდომაზე.

მისამართი: 380079, თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. N32.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სულხან-  
საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 25 თებერვალს

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი

ც. ლოლაძე  
პედაგოგიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

## ნაშრომის ზოგადი დასასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა.  
წერითი და ზეპირი მეტყველების მაღალი კულტურა განათლე-  
ბული ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია. ჩვენი საზო-  
გადოების ყოველი წევრი ვალდებულია კარგად ფლობდეს  
სალიტერატურო ენას, იცოდეს მისი ლექსიკური მნიშვნელობა  
და გრამატიკული წყობა, ჰქონდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში  
მათი გამოყენების უნარი. სწავლების კერა - სკოლა მეტყვე-  
ლების კულტურის დაუფლების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს  
წარმოადგენს. მშობლიური ენის სწავლება ხელს უწყობს  
საერთო განათლების დაუფლებას, აზროვნების განვითარებას,  
მეტყველების სრულყოფას. იგი სკოლაში არა მარტო ერთ-ერთი  
წამყვანი სასწავლო საგანია, არამედ სხვა საგნების შესწავლის  
ძირითადი საფუძველიც. აქედან გამომდინარე ქართული ენის  
გრამატიკის შესწავლას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება.

გრამატიკის შესწავლა მოსწავლეთათვის თვითმიზანი  
როდია. გრამატიკა მხოლოდ საშუალებაა, რათა დაეხმაროს  
მოსწავლეს სწორი ლიტერატურული მეტყველების დაუფლე-  
ბაში, აგრეთვე გამოუმუშაოს მართებული წერის ჩვევები.

ჩვენი სკოლის წინაშე მწვავედ დგას წერის კულტურის  
ამაღლების საკითხი. მოფიქრებულ, პედაგოგიურად გამართლე-  
ბულ, დასისტემებულ (სისტემატიზებულ) წერით სამუშაოთა  
ჩატარებით მოსწავლე უნდა მივაჩვიოთ დამოუკიდებელ წერას,  
ქართული ენით საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემას,  
თხზულების ჩამოყალიბებაში მსჯელობის უნარის გამოჩენას.  
სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა დააუფლოს მოსწავლე  
წერის კულტურას, გახადოს წიგნიერი. ცხადია, თუ მოსწავლე  
მეტყველების პროცესში შეცდომებს უშვებს, მის მიერ  
გამოთქმული აზრიც სინათლეს მოკლებული იქნება. აზრის  
ნათლად გამოთქმის, ლოგიკური აზროვნების განვითარების  
ერთ-ერთ მთავარ პირობას ენის გრამატიკული ფორმების  
შეგნებულად დაუფლება წარმოადგენს. გრამატიკული ფორმა კი